გაზეთის ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი 1877—1890



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ცდა

(კრებული)

II

ფასი წიგნისა 50 კაპ.

(10—2)

განცხადება

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა.


(იხილე მე-4 გვერდზედ)

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 20 ივნის, კავკასიის მთავარ-მართებელ გენერალ-ადიუტანტ შერემეტევთან ყოფილან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მისის უდიდებულესობის სასახლის კამერგერი ლ. ა. მაღალაშვილი, გორის მაზრისა—ი. დ. სულხანიშვილი, თელავისა—თავადი რ. ზ. ვახვახიშვილი და სიღნაღისა—კამერ-იუნკერი თავადი ი. რ. ანდრონიკაშვილი. მათ შორის იყვნენ კიდევ გენერალ-ლეიტენანტი ზ. გ. ჭავჭავაძე და სხვა წარჩინებულნი სამოქალაქო და სამხედრო წოდების მოხელენი. მთავარ-მართებელს უბძანებია, რომ მე მზადა ვარ დავეხმარო და ხელი შევუწყო თავად-აზნაურთა საქმესა და ჩემის სახლის კარები მუდამ ღიაა ყოველის თავადისა და აზნაურისათვისაო.

*** სურამის გვირაბის გაყვანის მთავარ-სამართველო 16 ივნისიდგან ტფილისშია გადმოტანილი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ბძანება გასცა ყველა პოლიციის მოხელეს, რომ დაათვალიერეთ ხოლმე და წმინდად შეანახვინეთ სახლის პატრონებს თავ თავისი ეზოებიო.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" გადმოუყვანია მასწავლებელი კავკავის სკოლისა თავისავე ხელთუბნის სკოლაში. ხოლო კავკავისაში უნდა ბ-ნ ბეღელაძის მაგიერ სხვა მასწავლებელი დანიშნოს.

*** ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ შემოსავალი იმ წარმოდგენისა, რომელიც იმართება კვირას მცხეთაში, იქაურ ბოქაულის თაოსნობით, დანიშნულია ხიდის ასაშენებლად არაგვზე. ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ის შემოსავალი ორად იქნება გაყოფილი და ნახევარი გარდაეცემა წინამძღვრიანთ-კარის სკოლას, ხოლო ნახევარი გადიდება არაგვზე ხიდის გასაკეთებლად.

*** ბ-ნ ალ. ნათაძის გარდა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელია, და რომელმაც ამას წინად შეადგინა პირველ-საკითხავი და სახელმძღვანელო, ამისთანავე წიგნი შეუდგენია აგრეთვე ბ-ნ ზ. გულისაშვილსაც, სოფელ საკარეჯოს სკოლის მასწავლებელს. ორივეს თავიანთი სახელმძღვანელონი კარგა ხანია წარუდგენია კავკასიის სწავლა-განათლების სამზრუნველოში და ეხლა იმას უცდიან, თუ რას იტყვის სამზრუნველო: მოიწონებს, თუ დაიწუნებს მათ მიერ შედგენილს პირველ-საკითხავს წიგნებს...

*** ტფილისის მეშვიდე და მერვე პოლიციის ნაწილებში წითელა მოსდებია თურმე ბავშვებს.

*** მთაწმინდაში, ხევის ქუჩაზე, ამას წინად ნიაღვარმა ბლომად ქვიშა და ქვა ჩამოლევა. ქალაქის ქუჩის დამგველებმა თუმცა ქუჩის ნაპირებზე მიაგროვეს ეს ქვიშა, მაგრამ ბავშვებმა ფეხით გადმოშალეს და ჰყრია ისე, კაცი ძლივს გაატანს. ღამე იქ გავლა ხომ ისე საფათერაკოა, რომ ან ფეხს გადაიბრუნებს ადამიანი, ან კისერს მოიმტვრევს. ამ მიწის გროვას მცხოვრებნი ზედ კიდევ ნაგავსა, ძვლებს, ტყავებს, ძველ კალოშებს და სხვ. უმატებენ, ეს ნაგავი იხრწნება და ამ სიცხეში, წარმოიდგინეთ, რა სუნს დააყენებს. ჯერ-კი ამ უბანში მუცლის ტკივილი და ფაღარათობა დადის და, თუ მალე არ მოუარეს ამ საქმეს, ვინ იცის, რა დღე არ დაადგებათ. საკვირველია ამისთანა დაუდევრობა ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობისა, როცა ამდენის უსუფთაობით გამოწვეული სენი და ჭირი ტრიალებს ქვეყნად.

*** რუსულ გაზეთებში სწერია, რომ უწმინდესმა სინოდმა შეიმუშავა მეტად საყურადღებო პროექტი, რომელსაც საგნად აქვს განაკარგოს სამღვდელოების ყოფა-ცხოვრებაო. ამ პროექტით უნდა გაუქმდეს სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედობისათვის ფასის აღება. მის მაგიერ დაენიშნებათ წლიური ჯამაგირი: სოფლის მღვდელთ 600 მან., მთავრებს 300 მან., დეკანოზებსა და ბლაღოჩინებს 1,200 მან. სულ ყოველ წლივ ამ საქმისთვის გადადებული იქნება ოც-და ცამეტი მილიონი მანათი, რომელიც შეუვა ხაზინას ცალკე დაწესებულის გადასახადით მართლ-მადიდებელთაგან.

*** ეკატერინენფელდი: ეკატერინენფელდის ახლოვე სოფ. ჩათახში, ერთს თათარს განეზრახა მძლეური საქმე ერთის თორმეტის წლის ყმაწვილის შესახებ, როცა ეს ყმაწვილი და მასთან სხვანი ღამე დარჩენილიყვნენ მინდორში, სადაც საქონელი ჰყავდათ საძოვებლად. ამაზედ სწარმოებს პოლიციის მხრით გამოძიება.

*** იქიდგანვე: ეკატერინენფელდისვე მახლობლად, სოფ. ბოლნის ხაჩინში, ოცდა-შვიდს წარსულს მაისს ერთი სოფლის მცხოვრები თავის მეზობელს გაიგზავნის მინდორში; მისი ცოლი მარტო რჩება სახლში. ბრუნდება უკანვე ზემოხსენებული მცხოვრები და უნდა ძალ-დატანება იხმაროს ქალზედ, მაგრამ ქალი არ ნებდება და საშველად შეჰყრის მეზობლებს. ბოროტ-მოქმედი შეშინდა და თავს უშველაო. გამოძიება მაინც დანიშნულია ამ საქმის გამოც.

*** ბრეთიდამ: ძველ თესლი ქერები გაიჭრა ღეღიდგან და ახალ თესლებსაც მიჰყოფენ ხელსა. პური-კი ჯერ არ არის შემოსული, ისევ ოდოშია; ისიც მალე შემოვიდოდა, მაგრამ ზენა ქარი ძალიან გამუდმებით ჰქრის და ეს აყენებს ყანებსა, ამბობენ, ზენა ქარმა რომ ასე იქროლოს, მშვენიერს მარცვალს გაიკეთებს პურიო. პურის მოსავალი, როგორც ვატყობთ, შუათანა იქნება; დედოფლის მინდორზე კალატოზიშვილების მამულში თვალით კარგი ყანებია, მაგრამ ნახევარი სოკო ურევია, ან, როგორც აქ ეძახიან ხუ. აგრეთვე ნაადრი ქერები ძალიან კარგები არიან, მხოლოდ ნაგვიანევები არ ვარგანან. ნაგვიანევ ქერებს ერთი კარგი ავდარი და აკლია, რომ კარგი მარცვალი მაინც გაიკეთოს იმან, რაცა სდგას. აგერ ორი კვირაა, ავდარი აღარ მოსულა, სიმინდები ჩინებულები არის, თუ სეტყვა ან გვალვა არ გაგვიჩნდა.

*** ახალ-სენაკი: ჩვენი პატარა ქალაქი სრულს მშვიდობასა და მყუდროობაში ატარებდა თავის დღეებს; მაგრამ ამას წინად ერთმა საშინელმა კაცის-კვლამ ააშფოთა მისი მყუდროობა. აი საქმე როგორ გახლდათ. 8 ივნისს შუადღისას ქალაქის განაპირიდამ მოისმა ხმა: „მიშველეთ მომკლესო!" ამ ხმაურობაზე შეიკრიბა ხალხი, გაიქცა იქით, საიდამაც განწირული ხმა მოისმოდა და თვალ წინ წარმოუდგათ საშინელი სურათი: ერთი აქაური ახალგაზდა თერძი ქუთაისიდამ ჩამოსული, გვარად ჩიტაშვილი, ეგდო მიწაზედ, სისხლში მოსვრილი. ორის საჟენის სიშორეზე ეგდო სისხლშივე მოსვრილი ხმალი. მკვლელი-კი არსად არა სჩანდა. ადგილობრივი პოლიცია მაშინვე შეუდგა მკვლელის ძებნას. ეჭვი მიიტანეს ერთის დალაქის შეგირდზე, 15—16 წლის ყმაწვილზე, გვარად შეამგელაძეზედ, რომელიც იდგა მოკლულთან ერთს დუქანში და რომელიც უცებ გაჰქრა სენაკიდამ. პოლიციამ გამოუყენა კაცი და საღამოს მღვდელი მოიყვანეს დ. ორპირიდამ. ყმაწვილმა მაშინვე აღიარა თავისი დანაშაული და გამოუცხადა, რომ თერძის მოკვლის მიზეზი ის იყო, რომ ხშირად მცემდა ხოლმეო. რამდენჯერმე ვსთხოვე დაენებებია ჩემთვის თავიო, და, როცა ვერაფერს გავხდი სიტყვით, მივეპარე უკანიდამ და მოვკალიო.

*** იქიდამვე: წელს აქაურ სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა ოც და ექვსმა (26) ყმაწვილმა. მათ შორის 11 გაგზავნილ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ როგორც შევიტყე, იმათ მი ნახევარიც არ აპირობს წასვლას სიღარიბისა და შეუძლებლობის გამო.

*** შულავერი: 6 ივნისს ჩამოწვა აქ ბანი კოცა ურუმოვის სახლისა. ბანზე ისხდნენ: სამი დედაკაცი და სამი ბავშვი, რომელნიც ქვეშ დაიტანა ჩაქცეულმა მიწამ და ხე-ტყემ. ამ გარემოებამ იმსხვერპლა მხოლოდ ორი ბავშვი, ერთი სამისა და მეორე ექვსის წლისა. დანარჩენები მშვიდობით გადარჩნენ ამ ხიფათს.

*** ოზურგეთი: ოზურგეთის მცხოვრებნი დიდს გაჭირებაში არიან ამ ჟამად უხორცობით. ხორცს ისეთი ფასები დასდეს, რომ ყასბები აღარ ჰკლავენ საქონელს, ან თუ დაჰკლეს, ისეთს მჭლარს საქონელსა ჰკლენ, რომ ძაღლს არ ეჭმება. მიზეზი ამისი სხვათა შორის ისიც არის, რომ აქეთ მხარეს, გურიის გარდა, ყველგან საქონლის ჭირია თითქმის და მთავრობა ნებას არ აძლევს ყასბებს საქონელი შემორეკონ იმ ჭირიან ადგილებიდამ.

*** გორიდგან „კავკაზს" შესჩივიან, რომ ვერ იქაა და ვეღ გაკეთდა მტკვრის ხიდი რიგიანად: ფიცრები მთლად დამპალია და ამიტომ ეტლს ძალიან უჭირს ზედ სიარული. ჩვენი ქალაქის საბჭო არა სცდილობს გამოსცვალოს ძველი ფიცრები და ახალი დაუგოს. გარდა ამისა ხიდზე გასვლისთვის ეტლს ერთობ დიდს ბაჟს ახდევინებენ, ე. ი. ექვს შაურს, მაშინ როდესაც ერთ ბოლოდგან მეორემდე ფაეტონის ქირა აბაზია. აგრეთვე ურიგო არ იქნებოდა, რომ ყურადღება მიექცია, ვისიც ჯერ არს, ქალაქის უსუფთაობისა და სიბინძურისათვისაც.

*** რუსეთის გაზეთების სიტყვით, მალე ჩამოვა კავკასიაში და აქედგან იმიერ კასპიის მხარეში წავა ფინანსთა მინისტრი ი. ა. ვიშნეგრადსკი. მინისტრს თან მოჰყვებიან სხვა მოხელენი, სწავლულნი და ტეხნიკოსნიც, რომელთა შორისაც იქნება აგრეთვე პოეტი ა. ნ. მაიკოვი. მინისტრი დაათვალიერებს სხვათა შორის ხელმწიფის მამულს მურგაბის მდინარესთან. ამ მგზავრობისათვის, როგორც ამბობენ, 20 ათასი მანათი უნდათ გადასდონ.

*** ივნისის 20 პოლიციის მესამე ნაწილში, ვანქის ვიწრო ქუჩაზე, ტფილისის მცხოვრებლის კარაპეტოვის სახლთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საზრდო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ნაშუადღევის ორს საათზე ახალ არსენალის ქუჩაზე სახლი № 23 მზარეულმა ახდრია ვასილის ძემ ფარლალავამ 70 მან. ამოაცალა ჯიბიდგან სტატსკი სოვეტნიკის მოსამსახურე ქალს ქრისტინა სიძონის ასულს ჩხეიძეს. დამნაშავე შეიპყრეს, ოქმი შეუდგინეს და სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღესვე, ნაშუადღევის სამს საათზე, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, გოგილოს აბანოს მახლობლად, რაჭის მაზრის ბრავალ ძალის მცხოვრებელი ლეონის მარკოზის ძე სხირტლაძე მტკვარში ბანაობდა და გაუფრთხილებლობით დაირჩო. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. საჩხერე (შორაპნის მაზრა), 11 ივნისს. ვინ არ იცის, რომ ზემო იმერეთში მევენახობას ძალიან მისდევენ. თითქმის მეორე სახსარი ცხოვრებისა ზემო იმერეთისთვის ღვინოა. მართალია, ქართლში იტყვიან ხოლმე, იმერული ღვინო მხოლოდ ლუკმას გადააგორებსო და სხვაფრივ-კი არაფრად ვარგაო, მაგრამ ჩვეებური კაცი ულვინოდ არაფერში ვარგა: არც მუშაობაში აქვს ხეირი, არც ლხინში და არც ჭირში. მართლაც-და ამ სამი-ოთხის წლის წინად ჩვენში ღვინო კარგად მოდიოდა და არა თუ ჩვენში, არამედ ქართლშიაც კი იაფად იყიდებოდა აქედგან გარდატანილი ღვინო. მაგრამ ეს სამი-ოთხი წელიწადია მას აქეთ, რაც სხვა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ვენახებს, გაუჩნდა და გაძლიერდა მტერი ვენახებისა „ობი და ნაცარი". ეს სენი თანდათან უფრო ედებოდა ვენახებს და ღვინის მოსავალიც უფრო და უფრო კლებულობდა. გადავდექით აგერ მეხუთე წელიწადში და გვეგონა ახლა მაინც დაგვანებებს თავს ეს რაღაც სენიაო; მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და წელსაც უარესი დღე დააყენა სენმა ჩვენს ვენახებს: სულ ერთიანად გარუჯა და გააყვითლა ვაზი. ამ ჟამად ხომ ნახევარზე მეტი ვენახებისა გაფუჭდა და, ვინ იცის, საგაისოდ უარესი დაგვემართოს, თუ რამე ღონის ძიება არ ვიხმარეთ. მაგრამ ჩვენ უვიცებმა ან-კი რა უნდა ვქნათ!? ჩვენდა სამწუხაროდ „ფილოქსერის კომისიამ", რომელიც წელს არის დანიშნული, ჯერ-ჯერობით ჩვენამდისინ ვერ მოაღწია და ჩვენ-კი გულ-ხელ დაკრეფილნი ვსხედვართ და შევჩერებივართ გულ-საკლავად გახუხულ და გარუჯულ ვენახებს, მაგრამ ან რა უნდა ვქნათ. ჩვენ ამ ჯანღაბა „ნაცარის" და „ობისა" არა გაგვეგებაროა და სხვა ჩვენი პატრონი-კი არავინ არის; გარდა ამისა ზოგიერთი სოფლები დასეტყვა აქეთ და რაც სენისაგან დააკლდა, ის სეტყვამ შეუსრულა. თუ წელს ღვინო არ მოგვივა,

სამაგიეროდ პური და სიმინდი, იმედია, ბევრი მოგვივა, პურები აქეთკენ აფერებულია. სიმინდის თოხნა გათავდა და, როგორც შავი ღრუბელი, სიმინდი ისე დგას მინდვრებში.

საჩხერეში სკოლის გამართვას აქამდისინ რაღაც ბედი არ სწყალობდა. აგერ თხუთმეტი წელიწადი მეტი იქნება მას აქეთ, რაც საჩხერის თავად-აზნაურობაში ჩამოვარდა ლაპარაკი ორ-კლასიანის სასწავლებლის დაარსების შესახებ; მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა და საქმედ ვერ გარდაიქცა და დარჩა ჩვენი საჩხერე რიყეზე; პირველში მოვიდა საჩხერეში ერთი ვიღაც აგალიანი და გამოაცხადა საჩხერეში სკოლა უნდა დავაარსოთო. ამ კეთილ საქმეს საუცხოვო მარჯვედ დახვდა აქაური თავად-აზნაურობა! ამაზედ უფრო თთ. წერეთლებმა გამოიღეს თავი: გამოვიდა ერთი და დაიძახა: სახლები შემომიწირავსო, მეორემ—ადგილიო, მესამემ—ფულიო, მაგრამ საქმით-კი არა, სიტყვითო! მართლაც და გავიდა ორი-სამი წელიწადი, სკოლის თაობაზედ არაფერი ამბავი ისმოდა. თურმე ნუ იტყვით, ეს აგალიანი სადღაც გაიპარა, და აღთქმული შეწირულებანიც გაჰქრა. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და საჩხერეში სკოლის საქმე დაიწყო დ. ა. აბდ—მა. კიდეც მოგროვდა რაოდენიმე ფული; მაგრამ აქ რაღაც «კლიმანჭური» გამოჰკრეს და აღარც სკოლა დააარსეს და აღარც ფული დაგვიბრუნეს; სად წავიდა და სად დაიკარგა ეს ფული, არ ვიცით; აქამდისინ ვეძებთ, მაგრამ მაინც ვერ გვიპოვნია! გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და მოვიდა ჩვენში შორაპნის მაზრის თანაშემწედ ნამყოფი, თ. გ. ერისთავი, ეხლანდელი საჩხ. ბოქაული. არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ თავ. ერისთავი გულს მოდგინედ არ მოჰკიდებოდეს სკოლის საქმეს საჩხერეში, მაგრამ მისი ხმაც დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

მიყრუვდა სკოლის საქმე საჩხერეში, აღარაფერი ხმა ისმოდა. ეხლა ადგა საჩხერის საბლაღოჩინოს სამღვდელოება და სთქვა: ამ საჩხერის თავად-აზნაურობამ ხომ ვერ ითავა და ვერ დააარსა ერთი სკოლა საჩხერეში და მოდი ერთი ჩვენ დავაარსოთო. მართლაც და ამის თქმა და ქმნა ერთი იყო. ეს მეოთხედ ჰქონდა საჩხერეში სამღვდელოებას კრება და გარდასწყვიტეს სამ-კლასიანის სამრევლო სკოლის დაარსება თვით დ. საჩხერეში მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ოც-და-რვა წლის და დეკან. იოანე აბაშიძის ოც-და შვიდის წლის სამსახურის სახსოვრად და პატივ-საცემლად.

სკოლისთვის საჭირო ადგილი უკვე შეიძინა სამღვდელოებამ 500 მანეთად და მშვენიერი ადგილიც არის. სკოლის შენობისათვის 1500 მან. ხელთა აქვსთ და დღე-დღეზედ მუშას დააყენებენ სამუშაოდ; ასე რომ ამ ოთხის თვის შემდეგ, იმედია, საკუთარი სკოლა გვექნება საჩხერეში. ამ სკოლაში გარდა დამფუძნებელთა წევრთა შვილებისა მიიღებიან არა დამფუძნებელთა შვილებიც; მხოლოდ უკანასკნელთ ხვედრი ფული გადახდებათ. ამ სკოლის აზრი და დანიშნულება შემდეგია: ამ სკოლამ უნდა ააცილოს თავიდამ ჩვენს სამღვდელოებას ხარჯი სამის მოსამზადებელის კლასისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, აქედგან გამოსულ ყმაწვილებმ უნდა შეეძლოთ ეგზამენის დაჭერა ოთხ კლასიან სასწავლებელში და გიმნაზიის პირველ კლასში. როგორც ჰხედავთ, აზრი და დანიშნულება სკოლისა არ არის ცუდი, მაგრამ ამ სკოლის საქმე სამღვდელოებამ ითავა ჩვენში და ამ სკოლის ბედი და იღბალი სამღვდელოებაზედ ეკიდება. როგორც თვით სამღვდელოების ლაპარაკიდგანაც სჩანს, იმედია მასწავლებლების და სკოლაში სახმარებელ ნივთებისა და სახელმძღვანელოების ამორჩევაში დაეკითხება ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რადგან ჩვენ ბევრი არა ვუწყით რა სკოლის საქმეების მართვისა. გარდა ამისა კარგს იზამს ჩვენი სამღვდელოება, რომ მეურნეობას, პროფესიონალურ ნაწილს საპატიო ადგილს მისცემდეს თავის სკოლაში, მით უფრო, რომ ძლიერ საჭიროა ჩვენში და ადვილი მოსახერხებელიც არის ჩვენისთანა ადგილ-მამულის ხალხისათვის. თუ ეს ეძნელება მარტო საჩხერის საბლაღოჩინოს სამღვდელოებას, შეიამხანაგოს თავისი მეზობელი მეორე საბლ. სამღვდელოება და საჩხერის საზოგადოება და მაშინ სამ კლასიან სკოლას-კი არა, თუნდა შვიდ-კლასიან სასწავლებელს გაუძღვებიან, თუ-კი მონდომა და სურვილი იქნება.

დაბა, ჩვენის აზრით, ყველა თავის ახლო-მახლო სოფლების თავად უნდა ითვლებოდეს. დაბის მცხოვრებნი მაგალითს უნდა აძლევდნენ და წინამძღოლად უნდა ჰყავდნენ სოფლებს ყოველს კეთილ-საქმეში. ასედაც არის ყოველგან, არა თუ სხვა ქვეყნებში, არამედ თვით ჩვენს პატარა საქართველოშიაც. ყველგან ასეა გარდა საჩხერისა. ჩვენი დაბა საჩხერე რომ ვერაფერ მაგალითს ვერ აძლევს გარეშემო სოფლებს კეთილ საქმეში, ამას შემდეგი ამტკიცებს. როდესაც სხვა-და-სხვა სოფლებიდგან და დაბებიდგან მოდიოდა და მოდის კიდეც შემოწირულებანი და დახმარება დაზარალებულ „წინამძღვრიანთ-კარისა“ და ჩვენის დაუვიწყარის ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ, მაშინ ჩვენი საჩხერე ქეიფსა, თავის „მაცხონებელ ნუნუას“ სმაში დროებას ატარებს, და ოცსა და ოცდა-ათ თუმანს ჰხარჯავს თითო სადილზე; კეთილსა და საზოგადო საქმეს-კი აბუჩად იგდებენ, მაგრამ ან კი სად სცალიანთ საზოგადო საქმისათვის! აქამდე თითო წარმოდგენას მაინც ჰმართავდნენ საჩხერეში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, მაგრამ ეხლა ამასაც ჩხირი მიატეხეს.

ოღონდაც ეს ჩვენი საჩხერის საზოგადოება, ის საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ყანწებისა და ჯიხვების ჩამორიგებაში მეთაურობს, ისიც ამ ღვინის ძვირობაზედ, კეთილ საქმეს წინ არ ეღობებოდეს და სხვა კიდევ მადლობა ღმერთს! არც კეთილი საქმე გვინდა მათი და არც „გოჩია“! ამ ზამთარში ტფილისში გარდაიცვალა კნეინა სალომე წერეთლის ასული, რომელსაც ძვირფასი მამულ-დედული დარჩა. ზემო-იმერეთში განსვენებულს ერთი საბალახე, ა'ე ოთხას ქცევამდე იქნება, ულევზე დარჩა. ეს საბალახე, კანონისამებრ, დარჩენია ბ-ნ ს. ა—ს, რომელსაც გაყიდვა სურდა თავის საბალახოსი. ჩვენში მეტად საიმედო ამბად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სხვა მოსულ ხალხს ზემო იმერეთში არა აქვს ნიადაგი, ასე რომ თუ რამე გამოჩნდა გასასყიდელი, სახნავი ადგილი, ან მამული, დაედებიან გლეხობა და ყიდულობენ. ერთს ამისთანა მაგალითს ეხლაცა ვხედავთ: სოფ. ითხვისი ძალიან შევიწროებულია საბალახოს უქონლობით. ამიტომ გამოჩნდა თუ არა გასაყიდელი საბალახო, მთელმა სოფელმა შეერთებულის ძალით მოინდომა ყიდვა ამ საბალახოსი. რაც უნდა დამართოდა სოფელს, თავს არ ჰზოგავდა და იმედიცა გვქონდა ბ-ნი ს. ა—ლი ჩვენ უფრო ნაკლებად დაგვითმობდა. მაგრამ შურმა და სიხარბემ თავისი გაიტანა, გამოდგნენ ეს დალოცვილი საჩხერლები და გვეყვირიან: „თუ გინდათ, საბალახე ჩვენგან იყიდეთ და თუ ჩვენგან არ იყიდით, ჩვენ ჩვენს საბალახეს ან ბანკში მივსცემთ და ან მისთანა კაცს მივყიდით, რომ ფეხი არ დაგადგმევინონ იქაო. „თქვენ ნაყიდ საბალახოს აქეთ ვისაც შევისწრებთ, დაუჩეხელს არ გაუშვებთო“. საკვირველია; აბა ფეჰრობაც ეს არის, აი! ძალად მაცხონეო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის.

ს. ი—ელი

## წერილი რედაქციის მიმართ

ქუთაისში ერთობ გავრცელებულია სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო მიზნით საღამოების თუ ხელის-მოწერის გამართვა, და უნდა გავტყდეთ, თავი მოვაბეზრეთ ერთმანეთს თითო-ოროლ მანეთის გადახდევინებით. მაგრამ აქვე სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრობა სიამოვნებით ისურვეს ბევრმა. რომ გამედვილებია ფულის შემოტანა, ზოგიერთისაგან მე ნაწილ-ნაწილად ჩავიბარე ფული. აი სია იმ პირთა, რომელთაც ახლად ისურვეს საზოგადოების წევრობა და სრულად შემოიტანეს 1890 წლის საწევრო ფული, ე. ი. ექვს-ექვსი მანეთი: 1) ნინო ბესარიონის ხელთ-უფლიშვილის ასული, 2) თომა აბრამის ძე მთავრიშვილი, 3) ვასილ ბესარიონის ძე კახიძე, 4) სამსონ ნიკოლოზის ძე დათეშიძე, 5) კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე, 6) ნ. ბესარიონ ვასილის ძე ლოსაბერიძე, 7) პეტრე იოსების ძე ყიფიანი. ძველ წევრებში მხოლოდ დავით გიორგის ძემ კარიჰაშვილმა შემოიტანა ამ ერთის წლის საწევრო ფული.

ზემო ჩამოთვლილ პირთ გარდა ბევრს სხვებსაც შემოაქვთ ფული ნაწილ-ნაწილად, ბევრმაც გამოაცხადა საზოგადოების წევრად ჩაწერის სურვილი, და როცა სრულად შემოიტანენ, წარვადგენ დანიშნულებისამებრ. ახლა-კი გიგზავნით ზემოხსენებულ რვა პირის საწევრო ფულს, ე. ი. ორმოც-და-რვა მანეთს და გთხოვთ გადასცეთ „ქართვ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“

საზოგადოების წევრი — დამხმარებელი სილოვან თომას ძე ხუნდაძე.
ქალ. ქუთაისი.
16 ივნისს 1890 წელს.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

ჩვენ მოგვივიდა სოფ. იყალთოდამ თავად გასიდ მაყაშვილისაგან გასასინჯავად ხელნაწერი წიგნი „ისტორია გიორგისა ანუ საქართველოისა, ქმნილი ვახუშტის მიერ ბაგრატოვანისა, ძისა ვახტანგ მეფისა“. ეს წიგნი შეიცავს შემდეგ წერილებს: ა) ტომობა და შთამომავლობა ქართველთა, რომლისა გამოქუნდება წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა (1 გაბადონიდამ მე-2 გაბადონამდე), ბ) აღწერა სამეფოისა საქართველოისა (9—14), გ) სამეფოს დაარსება ფარნაოზიდგან (14—74), დ) უწყებულება მკითხველთათვის (74—97), ე) შემდგომად განყოფილებისა მოთხრობა მეფეთათვის ქართლისა (98—133) ვ) აღწერა ჰერეთისა, კახეთ-კუხეთისა, თუშეთ დიდოეთისა (133—144), ზ) მოთხრობა მთავართ კახეთისათა (142—144) ჱ) აღწერა აწინდელთ მეპატრონეთა კახეთისათა (145—163), თ) ისტორია მეორის ირაკლის მეფისათა (163—174), ი) აღწერა აწინდელი ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა (175—180), ია) აღწერა საჩინოთა. ადგილთა სამცხე-საათაბაგოსათა (181—189), იბ) ცხოვრება სამცხე საათაბაგოისა (190—202) იგ) აღწერა ეგრისის ქვეყნისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა (203—214) იდ) ცხოვრება ეგრისისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა (215—239), იე) ვინ ვისნი სამთავროსნი არიან (240 გვ.) ივ) 241 გაბადონზე მოყვანილია შემდეგი ცნობა: „ქორონიკონები ჩვენ მიერ პოვნილთ წიგნებთა შინა და სხვთა წიგნებთა მათ არიან ესენი: იმერული მცველი გარიგების წიგნი, დავითნი მეხუთე 5 წიგნად დაყოფილი, იმერული ძილის პირი ეტრატისა, ტლაშარის ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხვათა ქართლის-ცხოვრებათა, მველთა და ახალთა, ძამნი კანონთაგან, სახარებათა და საეკლესიოთა წიგნებთაგან და სპარსელთა ქორონიკონებთაგან ამოწერილი არიან ესენი და თათრული გვერდზედ უწერია. შემდეგ ჩამოთვლილია თვით ქორონიკონები თამარ მეფის მიცვლიდგან ვიდრე 1753 წლამდე. ქორონიკონებში მოყვანილია ფრიად საინტერესო ცნობები (241—248), იზ) 249 გარდონზე მოყვანილია ლექსი ოსპაყათარზე, იჱ) 249—258 გაბადონებზე ჩამოთვლილია ქართველთა მეფენი ფარნაოზიდგან მოკიდებული 1753 წლამდის და აგრეთვე მეფენი სხვა-და-სხვა სახელმწიფოებისა: რომისა, ბიზანტიისა, დალდისა, დანიისა შვედისანი, პოლონისანი, ბოლემისანი, ვენგრისანი, რუსისანი, პორტუგალისანი, პრუსიისანი, ისპანიითისანი და პაპანი რომთა და 258—262 გაბად. ჩამოთვლილია საქართველოს სოფლები, ქალაქ-დაბანი, ციხე-კოშკნი და აქვე ნათქვამია რომელ სოფელში რომელი ტომის ხალხი სცხოვრობს: ქართველი, სომეხი, ოსი, ლეკი თუ თათარი. წიგნი დაწერილია მთელ თაბახიან მოლურჯო ქაღალდზე, შნოიანის ხელით და სუფთად. გადამწერი წიგნისა არის სპირიდონ იაშვილი, რომელიც 262 გაბადონზე ამბობს, რომ სწორედ ისრე გადავწერე, როგორც ვახუშტის დედანში იყოო და უმატებს: „სრულ იქმნა ჩყიზ წელსა, ივნისის ზ-სა დღესა“.

სხვა ვარიანტებთან შედარებამ აღმოაჩინა, რომ უმეტესი ნაწილი ამ ხელნაწერისა უკვე დაბეჭდილია. სახელდობრ 1—74 გაბადონი მოქცეულია ბაქრაძის რედაქტორობით და ქართველიშვილის საფასით აღბეჭდილი ვახუშტის «საქართველოს ისტორიაში». გეოგრაფიული აღწერა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, სამცხისა და სხვათა მთლად დაბეჭდილია ცალკე წიგნად ბროსეს მიერ 1842 წელს სახელწოდებით „გეოგრაფია საქართველოისა“. ამავე წიგნში ჩართულია სახელები დაბა-სოფელთა, ქალაქთა, სადროშოთა და თავად-აზნაურთა გვართა. უწყებულობა მკითხველთათვის და დანარჩენი მასალა დაბეჭდილია ქართლის-ცხოვრების მეორე ტომში ჩუბინაშვილის მიერ 1854 წელს; ხოლო დაბეჭდილსა და მაყაშვილის ხელ-ნაწერ შორის არის ზოგიერთი საყურადღებო განსხვავებაც. მაგალითად, ხელ-ნაწერში არ არის მოყვანილი ის ორი გაბადონი, რომელიც მოიპოვება ბაქრაძის რედაქტორობით დაბეჭდილ „ვახუშტის საქართველოს ისტორიის“ დასაწყისს. ხელნაწერი იწყება ამ სიტყვებით: „ნოეს ძისა იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებ.ნი მათნი და მეთა მათთა“ და შემდეგ ავტორი იწყობს ზნე-ჩვეულების აღწერას სიტყვიდამ: „რაჟამს მისცა ჰყოს ძმათა თვისთა“ და სხ. ამის შემდეგაც დაბეჭდილსა და ხელნაწერს შორის ზოგიერთი განსხვავება იპოვება, მაგ. დაბეჭდილია: „უკეთუ არა თვით შესჭამდიან“, ხელ-ნაწერშია: „უკეთუ არა ვინ ივახსდიან, თვით შესჭამდიან“; „არამედ ურჩნი თვისნი ქართლოსიანნიცა“, „არამედ ურჩნი თესლნი ქართლოსიანნიცა“, კიდევ: „ვარსკვლავთა პატივი“, „ვარსკვლავთა და სხვათათვის პატივი“; ანუ: „ვერპი არმაზ“, „ვერპი არმაზე“; ანუ: „წესი ერისთავთა იყო: მეფესა მიერ განწესება ქვეყანათა“; ხელნაწერში კი ქვეყნათა შემდეგ დამატებულია სიტყვა მართველთა. დაბეჭდილ ქართლის ცხოვრებაში ირაკლის ისტორიას აწერია: „ქმნილი ომან მდივან ბეგისაგან“, ხელნაწერში ეს წარწერა არის. ამას გარდა დაბეჭდილში არა თუ მრავალი სიტყვები დამახინჯებულად არის მოყვანილი (მაგ. ახალციხის მაგიერ ახსისა, ბარძიმის მაგიერ ბარამ და სხ.), არამედ მრავალგან გამოტოვებულია მთელი ფრაზები და პერიოდები.

გს—მ

## უცხოეთი

გერმანია. სოციალ-დემოკრატების მეთაურნი ბებელი, ლიბკნეხტი და ზინგერი შემოდგომიდამ კვლავ დაბრუნდებიან ბერლინში, რადგან 1 ოქტომბერს გათავდება ვადა განსაკუთრებულის კანონის მოქმედებისა. სამივენი მიიღებენ დიდს მონაწილეობას გაზ. „Berliner Volksblatt“-ში, რომელიც ამ სახით სოციალ-დემოკრატების ჭეშმარიტი ორგანო შეიქმნება.

— გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა ინახულა ქარხნები კრუპპისა და იქ მომუშავე მუშანი, დაათვალიერა მუშებისათვის ქარხნის მიერ აშენებული სახლები, რომელთა რიცხვი 3,000-ა და რომელშიაც სცხოვრობს 70,000 კაცი. იმპერატორმა დაათვალიერა სკოლები მუშათა შვილებისათვის, დარბაზნი საზოგადო ყრილობათათვის, ბიბლიოთეკა და სხვ. შემდეგ მოისურვა მუშებთან ლაპარაკი. აი რა უთხრა იმპერატორმა მუშებსა: გმადლობთ თანაგრძნობით მიღებისათვის, გერმანიის მუშანო! თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენი სამეფო სახლი იმ თავიდამვე ყურადღებას აქცევდა მუშათა ყოფა-მდგომარეობას. რაც შემეხება საკუთრად, უკვე ვაუწყე ქვეყანას, რა გზასაც დავადგები. ახლა კიდევ გეტყვით, რომ არ გადუ-

ვევ იმ გზას. თქვენს ქცევას რომ უყურებ, ვხედავ, რომ მიხვედრილნი ხართ ჩემს განზრახვას და რომ თქვენცა და მეც სწორედ ჭეშმარიტი გზა ამოგვირჩევია სავლელად. უფრო ის მახარებს ამ ჟამად, რომ შემთხვევა მომეცა და დავათვალიერე ის ქარხანა, რომლის პატრონსაცა და მუშებსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის სამშობლოსათვის. კრუპის ფირმამ უფრო ღვაწლი დასდო გერმანიის მრეწველობას, ვიდრე სხვა რომელმამე ფირმამა, ამასთანავე ამ ქარხანამ შექმნა სახელი გერმანიის მრეწველობისაცა და გერმანიის მუშა კაცებისაცა. დავლიოთ მაშ ერთად სადღეგრძელო ამ ქარხნის წარმატებისათვისაცა და მის პატრონის კეთილ-დღეობისათვისაც.

ავსტრია-ვენგრია. 8 ივნის ავსტრიის დელეგაციის კრებაზე ლაპარაკი იყო ბოსნია-ჰერცოგოვინის ბიუჯეტის შესახებ. დელეგატმა კლაიჩმა სთქვა, რომ ეს ორი პროვინცია ნელ-ნელა წინ მიდის ავსტრიის ხელში ეკონომიურად და კულტურულადაო, თუმცა მის გამგეობასა და მართვაში ზოგიერთი ნაკლულევანება შეინიშნებაო. მე წინააღმდეგი ვარ მაგალითად იმისა, რომ იქ ვასახლებდეთ უცხო ტომის წარმომადგენელთ. იქ უკვე გაშენდა სოფელი ვინდჰორსტი. იმედია, რომ სხვა იმისთანა სოფელი აღარ გაშენდებაო, ბოსნიის მკვიდრთა ტომი ფრიად ჯანსაღი და აგებულებით მაგარი ტომია. ბოსნიის მიწა-წყალი იმათ არ უნდა გამოეწიროთ. უცხო ტომთა დასახლება იმათ მიწა-წყალზე მხოლოდ ბევრ-გვარ გასაჭირს საქმეს გაგვიტყვრენს, დაჰბადავს დავას ენის შესახებ, ჯიბრსა და ქიშპს იმის გამო, თუ რომელი ტომია უპირატესი და სხვა ამისთანებსაო. ამის გარდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში დაბალი საადმინისტრაციო თანამდებობანი ეძლევათ ბოსნიელებს; სასურველია, რომ ახლა არც მაღალ თანამდებობას არიდებდეს იქაური მთავრობაო.

კლაიჩს პასუხი მისცა ფინანსთა მინისტრმა კალლეიმ. ბოსნია ეტანება დასავლეთს, დასავლეთის განათლებასა და კულტურასაო; ავსტრიის ადმინისტრაციაც ცდილობს ხელი შეუწყოს ამათში ბოსნიელებს და თანდა-თან, მათის მომზადების კვალობაზედ, იმასაც ზრუნავს, რომ იქაურებს ადმინისტრაციაში ალაგები მისცეს. ეხლა მოხელეთა შორის ბოსნიელები 13% შეადგენენ; შუათა სასწავლებლების მასწავლებლებში ისინი 18%-დე არიან; საერო სკოლების მასწავლებელნი 40%-ია, დაბალ საადმინისტრაციო თანამდებობაზე 70—92% იქმნება ბოსნიელობაო.

საფრანგეთი. საფრანგეთის სენატში ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო სჯა-კამათობა გაიმართა შუათანა განათლების წესების შეცვლის შესახებ. სენატორმა კომბმა სთხოვა საერო განათლების მინისტრს ბურჟუას, რომ არ იქნება ურიგო, თუ მთავრობა საუნივერსიტეტო განათლების შეცვლის დროს არ დაივიწყებს შუათანა განათლების შეცვლასა და გადასხვაფერებასაცაო. ქვეყანა თხოულობს ამ შეცვლასა და გადასხვაფერებასა. მწერლობა, სამეცნიერო დაწესებულებანი, თვით უნივერსიტეტები ამბობენ, რომ უვარგისი მიმართულება აქვს მიცემული შუათანა განათლების საქმესაო და ეს გარემოება დიდად აბრკოლებს თვით უმაღლესს განათლებასაცაო. დღევანდელის შუათანა განათლების წესები დაძველდა და აღარ შეეფერება ახალ დროებას, ახალს მოთხოვნილებას საზოგადოებისასაო. ყოველივე შეიცვალა ამ უკანასკნელს საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ წესები შუათანა განათლებისა დარჩა შეუცვლელი და შეუსწორებელი. მეტის-მეტია, რომ სკოლა იმ თავიდამვე განკერძოებულს თვისებას იძენდეს. ბავშვებს პირველშივე ის ეჩირვებათ, რომ მიეცეთ საერთო საზოგადო განათლება, რომელიც მაშინვე არ გადასწყვეტდეს იმათ სამერმისო ბედსაო. ეს ყველასათვის საზოგადო განათლება არ შეიძლება დაფუძნებულ იყოს ბერძნულისა და ლათინურის სწავლებაზე; საფუძვლად უნდა ედოს მათ მაგიერ დედა-ენა და ეხლანდელი ცოცხალი ენები. საგნად იმ განათლებას უნდა ჰქონდეს ეხლანდელი საჭიროებანი, პროგრამად ისეთის ცოდნის შეძენა, ურომლისოდაც არ შეიძლება კაცი თავის დროების წარმომადგენელი იყოს, არ შეიძლება ირიცხებოდეს თავის სამშობლოს განათლებულთა კაცთა შორის. კომბი ამტკიცებდა ბოლოს, რომ შუათა განათლების საგანთა შორის უნდა ჩართულ იქმნას ისეთი საგნები, რომელიც პირდაპირ შეეხება დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას, მრეწველობას, სასოფლო მეურნეობას, ვაჭრობას. ეხლანდელმა შუათანა განათლებამ თავი უნდა დაანებოს სრულიად იმ ძველებურს წესებს, რომლის წყალობითაც, ბოლოსა და ბოლოს, ასე მრავლდება რიცხვი უხეირხულისა, ცხოვრებაში გამოუსადეგარისა და გაუბედურებულის კაცებისაო.

კლასიკურს განათლებას მომხრეობა გაუწია ჟიულ სიმონმა. ჟიულ სიმონმა სთქვა, რომ გაუბედურებულის კაცების გამრავლება იმდენად შუათანა და უმაღლესს განათლების ბრალი არ არის, რამდენადაც ჩვენის ცხოვრების სხვა ვითარებისაო. შემდეგ ჟიულ სიმონი შეეხო იმათ, რომელნიც ჰკიცხვენ კლასიკურს განათლებას: ყოველ დღე მესმის, რად გვინდა ლათინურიო? ჩვენ უნდა დედა-ენა ვიცოდეთ; იგი პირველი ენაა მთელს ქვეყნიერობაზე და ჩვენთვის მისი ცოდნა სრულიად საკმარისიაო. თუ გინდა, კლასიკურის ენის მაგიერ, ადგილი სხვა სასარგებლო საგნებს მიეცითო. არა, უნივერსიტეტი, მე იმის სახელით ვლაპარაკობ, თავის დღეში ხელს ვერ აიღებს კლასიკურს განათლებაზე. უნდა ვასწავლოთ კლასიკები ყმაწვილ-კაცობას იმდენად, რაოდენადაც შესაძლებელი იქმნება და, ვგონებთ, რომ თუ ასე ვიმოქმედებთ, ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ შეგირდების წინაშე, სამშობლოს წინაშე, საფრანგეთისა და კაცობრიობის სადიდებლად. თქვენ გგონიათ, რომ ფრანგული საკმაოა ზნეობის გასანმტკიცებლადაო. დიაღ, საკმაოა; ხოლო ეს გარემოება არაფერს არ დაუშლის იმას, რომ სხვა ენებმაც, რომელიც გვაძლევს ყოველსავე, რაც-კი ქმნილა და გაგონილა დიდებული და მშვენიერი ევროპაში, დაწყებული საბერძნეთიდამ პარიჟსა და ლონდონამდე, რომ ის იმოდენა დიდებული ნაწერები და ქმნილებანი, მტკიცე აზრი და ჭეშმარიტი კაცთმოყვარე გრძნობანი, რომელსაც ითვისებს ჩვენი განათლებული ახალგაზდობა და მისგან მთელი საზოგადოებაც,—რომ ყოველივე ესე ამტკიცებდეს სულიერსა და ზნეობრივს ძალღონეს და ამაღლებდეს ჩვენს გულსა და გონებას. ბოლოს ჟიულ სიმონმა დაასკვნა, რომ დარწმუნებული ვარ, სენატი ეტყვის საფრანგეთს, რომ საჭიროა სწავლა სასარგებლო მეცნიერებათა, მაგრამ ეტყვის იმასაც, რომ არის ისეთი მეცნიერებაც, რომელიც სასარგებლოა ყველა სხვა სასარგებლო მეცნიერებაზე. ეს მეცნიერებაა ესრედ წოდებული ჰუმანიური მეცნიერება. სენატმა ამ საგნის შემდეგი განსჯა და განხილვა მეორე კრებამდე გადასდო.

## წვრილი ამბები

ამერიკელებს ფონოგრაფში აღუნიშნავთ ეხლანდელ ნადირისებურ მცხოვრებ ინდიელების ლაპარაკი, იმათი სიმღერები, ზღაპრები და სხ. ამერიკელები იმ აზრისანი არიან, რომ, როცა იქნება, ეს ხალხი უნდა აღიგავოს დედამიწის პირიდგან და ჩვენს შვილისშვილებს იმათს ენას მაინც არ დაუკარგავთო. საქმე ის არის, რომ ყოვლად შეუძლებელია ქაღალდზე ისე აღინიშნოს ენა, რომ მართლად, ნამდვილად გამოითქმებოდეს, და ფონოგრაფი-კი, როგორც მკითხველებმაც უწყიან, ენის ყოველს თვისებასა და ხმების სხვა-და-სხვაობას უნაკლულოდ იმეორებს.

— უაიტინგამს ახლოს ერთს ტბაში უოფილა მცურავი კუნძული. კუნძული ყოველთვის იცვლის თურმე თავის ბინას, მოფენილია ტყეთა და საზოგადოდ ყოველ გვარის მცენარეობით.

— იტალიის გმირს გარიბალდის ინგლისელებმა პატივსაცემლად უყიდეს ერთი კუნძული, სახელად „კაპრერა". განსვენებულის გარიბალდის შვილებს მენოტტისა და რიჩიოტტის ეს კუნძული ახლა, როგორც ამბობენ, იტალიის მთავრობისათვის მიუყიდნიათ. თუმცა მთავრობაც და გამყიდველნიც სცდილობენ დაუჯერონ საზოგადოება, რომ კუნძულს დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის და ამიტომ აუცილებლად საჭიროა, სახელმწიფოსავე ეკუთვნოდესო, მაგრამ, ზოგიერთები-კი მაინც იმას ამბობენ, რომ მაგ მიზეზმა კი არა, უკიდურესმა მდგომარეობამ ჰყო იძულებულ გმირის ოჯახობა, რომ თავის სახელოვანის პატრონის ნაანდერძევი გაეყიდნაო.

— ამერიკის ქალაქს მინეაპოლში ოც-და-რვა სართულიანი სახლი შენდება. ამ სახლს სიმაღლე 50 საჟენი ექნება. ზემო სართულებში ასასვლელად ელევატორები იქნება მოწყობილი. სახლის სამირკვლადა და კედლებად ქვა და რკინას იხმარებენ და უფრო-კი რკინასაო.

— ინგლისში მალე გამოვა ფრიად ვრცელი ბიოგრაფია თ. ბისმარკისა.

— წარსულ პარასკევს ილლინოის შტატის ჩრდილოეთით (ჩრდილო ამერიკაში) საშინელი გრიგალი ამოვარდა და დალეწა და დაანგრია რამდენიმე სოფელი. ჯერ საშინელი წვიმა წამოვიდა და მერე გაჩნდა შავი ღრუბელი, რომელიც დასავლეთ-სამხრეთიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გამოემართა ისეთის გრიალითა და ზათქით, რომ ჭექა-ქუხილის ხმაც აღარ ისმოდა. სადაც გაიარა გრიგალმა, ყველგან დიდად დააზარალა ხალხი და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. მომაკვდავთა და დაშავებულთა კვნესა და ოხვრა მწუხარედ გამოისმოდა ამ საშინელს ზათქსა და ზარში. ხეებს ძირიანად აგდებდა მიწიდგან. სახლები ერთს თვალის დახამხამებაში დაანგრია და მიმოფანტა, ასე რომ კვალიც-კი აღარ დაუტოვებია. ერთს სოფელში გრიგალმა 14 კაცი იმსხვერპლა. მასწავლებელმა და შეგირდებმა სკოლაში შეაფარეს თავი, მაგრამ გრიგალმა სკოლასაც დაჰქროლა და მთელი სახლი ორმოცს საჟენზე ისროლა. საშინლად დასახიჩრებული და სრულიად შიშველი ტანი მასწავლებლისა ქუჩაზე იპოვეს და საბრალო შეგირდების გვამები-კი იქვე ზღვაში ჩაეგდო. მეორე სოფელშიაც დაეცა გრიგალი სკოლას, მაგრამ აქ მხოლოდ ორი შეგირდი იმსხვერპლა. მასწავლებელი და დანარჩენი შეგირდები თუმცა დაშავდნენ, მაგრამ სიკვდილით-კი არ მომკვდარან. გრიგალი მიდიოდა ზოლად, სიგანით იქნებოდა ოც და ათი საჟენი. ორმოცდა-ათი ფერმა ძირიანად ამოვარდა. შენობისა, ღობისა, ბაღისა და ნათესისა კვალიც აღარ დარჩა, ისე ადგავა ყველაფერი და ისე მოასალასინა მიწა ამ მძვინვარემა გრიგალმა. ასე გასინჯეთ, ტყეებიც დალეწა და დაანგრია. უზარმაზარი ხეები ამოთხარა თან და ჰაერში ატრიალა და აგრეთვე დიდ-ძალიც კიდევ იქვე მიტეხ-მოტეხა, ასე რომ დიდი და უშველებელი გზები გაჰკაფა იმ უტეხსა და ხშირს ტყეებში, რომლებზედაც-კი გაიარა.

ბეგშა (პროექტი)

## წესდება

(გაგრძელება *)

§ 53. ფოსტის კანტორიდგან ფულისა და ავეჯის მისაღების განცხადებაზე საკმაოა მოაწერონ ხელი თავმჯდომარემ და მდივანმა, ბეჭედის დასმით. იმათივე ხელის მოწერა საკმაოა იმ ქაღალდზე, რომლითაც ბანკიდგან მოითხოვება ფულის მიცემა. ჩეკი-კი უნდა იყვეს ხელ-მოწერილი თავმჯდომარისა, ორის წევრისა და მდივანისაგან.

§ 54. გამგეობას ეძლევა ნება აქციონერთა საზოგადოების დაუკითხავად, საჭიროების და გვარად, საზოგადო საქმის შესახებ მიჰმართოს თხოვნით მთავრობასა, სასამართლოებსა და უფროს პირთა. აგრეთვე ამისავე ნება მისცეს ერთს რომელსამე წევრს გამგეობისასა. გარეშე პირს, თუ არ ვექილობის წერილით, არ შეუძლია აწარმოოს აქციონერთა საზოგადოების საქმე. გამგეობას შეუძლია გარეშე პირს მიანდოს რომელიმე საქმის შესრულება, ე. ი. სყიდვა, გაყიდვა, წაღება, მოტანა და სხვ. მხოლოდ იმ პირობით, რომ თვითონ გამგეობა შეიქმნეს დავლები და პასუხის მგებელი ვექილის მოქმედებისა.

§ 55. გამგეობაში მომსახურენი უნდა იარებოდნენ სამსახურში ყოველ დღე სწორედ იმავე წესით, როგორც ასრულებენ თავისს თანამდებობასა ყოველ მთავრობის სასამართლოებში ჩინოვნიკები. აქციონერთა საზოგადოებისაგან ამორჩეულთ და გამგეობისაგან დანიშნულს პირთა არა აქვთ ნება ერთსა და იმავე დროს ემსახურებოდნენ სადმე სხვაგან ან იყვნენ რომელსამე ვაჭრობაში.

§ 56. ყოველი საქმე გამგეობის გასასჯელი უნდა გადასწყდეს ისე, როგორც დაასკვნის უმრავლესი ხმა გამგეობისა. თუ უმრავლესობა არ შესდგა, მაშინ თავმჯდომარე მოიწვევს ორ წევრთ გარდა ორივე რევიზორებსა და ამ ხუთმა წევრმა უნდა განიხილონ და გადაწყვიტონ საქმე. ამ ნაირად შედგენილს გამგეობას ჰქვია განცხოველებული სხდომა.

§ 57. განცხოველებულს სხდომაში თავმჯდომარეობს იგივე პირი, რომელიც არის ამორჩეული კრებისაგან გამგეობის თავმჯდომარედ.

§ 58. იმ შემთხვევაში, როდესაც განცხოველებულს სხდომაში რომელისამე მიზეზით არ გადასწყდა საქმე ან თუ საქმის გადაწყვეტა არ ეკუთვნის გამგეობასა, მაშინ საქმე უნდა გაისინჯოს და გადასწყდეს საერთო აქციონერების კრებაში.

§ 59. ამავე საზოგადო აქციონერთა კრებას უნდა მოახსენდეს ყოველი საქმე, რომელსაც საჭიროდ ჰპოებენ თავმჯდომარე, წევრნი და რევიზორები.

§ 60. გამგეობის თავს-მჯდომარე, წევრნი, რევიზორები, ხაზინადარი, მდივანი და ყოველნი პირნი, ვინც აქციონერთა სამსახურში იმყოფებიან, უნდა მარადის მოქმედებდნენ საზოგადოების სასარგებლოდ, ასრულებდნენ ამ წესდებულებასა დაურღვევლად და ყოველს იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება კანონის წინააღმდეგი მოქმედება იმათი, ან კანონისაგან მიცემული უფლების აღმატება, ან ყურის-უგდებლობა და დარღვევა, როგორც ამ წესდებულებისა, აგრეთვე აქციონერთა საზოგადო კრების განწესებისა (ინსტრუქციისა), მიეცემა პასუხის გებაში საერთო სახელმძღვანელო კანონების ძალით.

დ) ანგარიში საზოგადო საქმეებისა, მოგების განყოფა აქციონერთა შორის და მიღება სარგებლისა.

§ 61. საზოგადოების გამგეობა ვალდებულია წარუდგინოს აქციონერთა კრებასა წარსულის წლის სრული ანგარიში არა-უგვიანეს მომავალის წლის მაისის ნახევრამდინ.

§ 62. დაწვრილებითი წლის ანგარიში და იმისი ბალანსი (ფულის ხმარება) ყოველის გასამართლებელის საბუთებით უნდა იყვეს ხელ-მოწერილი თავს-მჯდომარისა, წევრებისა და რევიზორებისაგან. ეს ანგარიში დაწერილი რუსულად და ქართულად უნდა დაიბეჭდოს ადგილობრივს რუსულსა და ქართულს გაზეთებში არა უგვიანეს აპრილის ნახევარისა, ე. ი. ერთის თვის წინად საზოგადოების კრებაზე.

§ 63. 15 აპრილიდგან 15 მაისამდის ყოველს სახელ-წოდებიან აქციის პატრონს შეუძლია მივიდეს გამგეობის სამდივნოში და თავისუფლად გასინჯოს ყოველი საქმეები და საბუთები ანგარიშის შესახებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქციები უნდა ჰქონდეს თანა და აჩვენოს მდივანსა; უამისოდ ვერა წევრი ვერ შეეხება საქმესა. აგრეთვე არა აქვსთ ნება საქმეების გასინჯვისა იმ წევრთა და აქციების პატრონთა, რომელნიც მე-4 მუხლის ძალით არ ირიცხებიან სრულ წევრად.

§ 64. საანგარიშო დროდ არის დანიშნული მთელი წელიწადი იანვრიდგან იანვრამდისინ, და თუ თავდაპირველად გამგეობის მოქმედება დაიწყობა იანვრის შემდგომ, ან ენკენისთვის შემდგომ, მაშინ პირველს შემთხვევაში ნაკლები წელიწადი შეიქმ-

*) იხ. „ივერია" №№ 125, 126, 127, 128 და 129.

ცხება სრულ წელიწადად და მეორე შემთხვევაში ოთხი თვე ან ნაკლები უნდა მიემატოს შემდგომ, წელიწადსა და თექვსმეტის თვის ანგარიში ერთად მოხსენდეს კრებასა.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

20 ივნისი

ვარშავა. გუშინ მოჰკლეს აქ არტისტი-ქალი ვისნოვსკისა. მკვლელია აფიცერი ბარტენევი. დღეს გასჭრეს ვისნოვსკის გვამი; მარტო პერანგის ამარა იყო; მარცხენა გულისკენ ცხვირსახოცი ეფარა წყლულს; ცხედარს ახლო ნახეს ორი წერილი: ერთს წერილში ვისნოვსკისა აცხადებს, რომ კარგს იზამს ის, ვინც მე მომკლავსო. ვისნოვსკისას ჯერ საწამლავი დაულევია და შემდეგ მოუკლავთ. ბარტენევმა თითონვე გამოუცხადა ჯარის უფროსს, რომ მე მოვკალიო.

ვენა. ვენგრიის თოფხანა, რომელმაც სამაგალითოდ დაამზადა თოფები, ვერ გამოდგა. მინისტრმა გონვედოვმა მინისტრების გადაწყვეტილებას ყურადღება არ მიაქცია, თოფხანასთან შეკრული პირობა დაარღვია და მაგაზინის თოფებისა და იმის გულის დამზადება სხვას შეუკვეთა.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ივნისი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 6 95 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 139 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 09 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | 234¾ | — „ | — „ |
| —მეორისა | 217 | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | 213½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 99½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 99½ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 88 „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი:

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი“-ს**

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ღომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ანანიაშვილისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „ | 25 |

# სარაჯოვის ქარვასლა

(შუაბაზარში)

იძლევა იჯარით. პირობის საცნობლად მიჰმართონ ქარვასლის პატრონს მელი-არსენალის ქუჩა, № 56, ვამაზოვის სახლი.

(3—2)

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на единственную въ россіи ежедневную иллюстрированную газету:

„МОСКОВСКАЯ ИЛЛЮСТРИРОВАННАЯ ГАЗЕТКА“.

Это изданіе даетъ своевременно всѣ свѣдѣнія о событіяхъ текушей жизни, сопровождая важнѣйшія ежедневными иллюстраціями по всѣмъ отдѣламъ программы.

КРОМѢ ТОГО ЕЖЕДНЕВНО ПОМѢЩАЮТСЯ ПОВѢСТИ, РОМАНЫ И РАЗСКАЗЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

| съ доставкой въ Москвѣ: | | съ пересылкой въ города: | |
|---|---|---|---|
| На годъ | 7 р.—к. | На годъ | 8 р.—к. |
| „ полгода | 4 „ —„ | „ полгода | 4 „ —„ |
| „ 3 мѣсяца | 2 „ 50„ | „ 3 мысяца | 3 „ —„ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ —„ | „ 1 мѣсяцъ | 1 „ —„ |

Редакція и главная контора при типографіи П. М. Мартынова, Тверская, Большой Гнѣздниковскій переулокъ, домъ Мартыновой.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ ВЪ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ

и въ книжныхъ магазинахъ:

гг. Васильева, Суворина, Мамонтова, Готье, бр. Салаевыхъ и друг., въ конторахъ: гг. Метцль, Гиляровскаго, Ремизова, Печковской, Александровой и въ газетной лавкѣ Ласточкина (у Срѣтенскихъ воротъ); въ КАЗАНИ въ писчебумажномъ магазинѣ Сергѣева (Проломная ул.), у Ал. Як. Лапина; ВЪ ОДЕССѢ—въ „Центральномъ новороссійскомъ магазинѣ“.

Редакторъ-Издатель Н. Н. СОѢДОВЪ.

# კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—22)



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის

## არყნის ხის ბალზამი დოქტ. ლენგილიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად ერთ აგენტის გასილ აურიხისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩაზედ, 18—19.

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ლიპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, გ. გრიგნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(19—12)

## ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა

1890 წლის მარტის 17 თანახმად რუსეთის კანონმდებულების მე-XI ტომის II ნაწ. 65, 67, 68, 76, 79, 81, 83 და 84 მუხლთა, დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“. პირობა ამხანაგობისა უკვე დამტკიცებულია, საწევრო თანხა (პაი) ღირს 50 მან. და შეიძლება მისი შემოტანა განაწილებით. წევრი მიიღების, თანახმად ამხანაგობის პირობისა, კენჭის ყრით, ამხანაგობამ შეიძინა წიგნის მაღაზია გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავასი. მსურველთ შეუძლიანთ ამხანაგობის პირობა ნახონ წიგნის მაღაზიაში, ან ქალაქ გარეშე მცხოვრებთ დაიბარონ თავიანთ ხარჯით. ამხანაგობა არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს, თუ საპასუხოდ ფოსტის მარკები არ მიიღო. ამასთანავე ამხანაგობა აცხადებს, რომ წიგნები ისყიდება ნაღდ ფულზე და ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ეგზავნებათ მყიდველის ხარჯით. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი გამოცემები მიანდონ ამხანაგობას მაღაზიაში გასაყიდად. საკომისიო მიღებულ წიგნებში ამხანაგობა გამომცემელთ აძლევს კვიტანციას. გაყიდულ გამოცემას ფული მსურველთ აუცილებლად ეძლევათ თვისის მეორე დღეს. ვისაც რაიმე ნაწერები აქვს გამოსაცემი და სურს გარდასცეს ამხანაგობას,—ვთხოვთ მიჰმართოს ამხანაგობის გამგეობას. მიღებული ნაწერები გარდაეცემა განსახილველად სარედაქციო კომისიას, რომლის მიერ მოწონებულ ნაწერებს დაბეჭდავს ამხანაგობა და გამოაცხადებს გაზეთ „ივერიაში“. ამასთანავე ამხანაგობა კისრულობს ნაწერების დაბეჭდვას გამომცემლის ხარჯით, ხოლო შრომის ფასად იღებს რედაქციისა და კორრექტურისათვის გამოცემაზე დახარჯულ ფულიდგან 15%.

ადრესი ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის: Тифлисъ, правленію „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова, грузинскій книжн. магазинъ.

(7—7)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ხუროსის მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ანჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Іюня 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე